



ბრძანება

N 173
15/02/2019

შპს „მეტრი აუდიტი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2018 წლის 26 იანვრის N34 ბრძანებით შპს „მეტრი აუდიტი“ (ს/ნ N412732725, იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიზამის ქ. 30), დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-406558). სარეგისტრაციო განაცხადთან (N294465/21-11) ერთად წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 744/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2017 წლის 05 დეკემბრიდან - 2018 წლის 04 დეკემბრამდე. 2019 წლის 18 იანვარს შპს „მეტრი აუდიტი“-ს ჩაბარდა წერილი N 16/1315, რომლითაც აუდიტორულ ფირმას განესაზღვრა 5 სამუშაო დღე პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. აუდიტორული ფირმის მიერ განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, რომელიც გაცემულია 2018 წლის 03 დეკემბერს, წარმოდგენილია 2019 წლის 21 იანვარს, რომლის თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება 2018 წლის 05 დეკემბრიდან - 2019 წლის 04 დეკემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის აღნიშნული ინფორმაციის შესახებ, თუმცა შპს „მეტრი აუდიტი“-ს მიერ ეს ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით - 2019 წლის 21 იანვარს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მეტრი აუდიტი“ დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დაღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური



173-16-4-201902151607
<https://edoc.mof.ge/public/#/>